

0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა LITERATURE AND LINGUISTICS**კომუნიკაციის კოდური მოდელი: მისი ამჟამინდელი სტატუსი და რელევანტურობა
ლინგვისტიკაში**

ნინო თევდორაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: nino_tevdoradze@iliauni.edu.ge

რეზიუმე

კომუნიკაციის შესახებ არსებულ იმგვარ ხედვას, რომ კომუნიკაცია არის გზავნილის გადაცემა და მიღება კოდის საშუალებით, რომელიც აკავშირებს გზავნილსა და სიგნალს, როგორც წესი, მიაკუთვნებენ კომუნიკაციის კოდურ მოდელს. თანამედროვე პრაგმატიკამ ნათელი გახადა, რომ მოდელს არ შეუძლია ახსნას კომუნიკაციის პროცესში ჩართული მრავალი ასპექტი და მის ალტერნატივად კომუნიკაციის ინფერენციული მოდელი შემოიტანა და განავითარა. მიუხედავად ამისა, კოდურ მოდელზე დაფუძნებული იდეა კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომუნიკაციის ხედვაზე. კითხვა იმის შესახებ, ამ მოდელმა უკვე დატოვა თუ არა ლინგვისტური სცენა ტრადიციულ სტრუქტურალიზმთან ერთად, თუ ის ახლა უკვე მოდიფიცირებული სახით გვევლინება, მრავალი თეორეტიკოსის განხილვის საგანი გახდა. შემოთავაზებული ნაშრომი არის მცდელობა თავი მოუყაროს ამ პრობლემური საკითხის ირგვლივ წარმოშობილ თვალსაზრისებს. ნაშრომში ძიურითად მიზნად ვისახავთ პასუხი გაცემის კითხვას: კოდური მოდელი კვლავ კომუნიკაციის წამყვან მოდელად რჩება დღევანდელ ლინგვისტიკაში, თუ მან დაკარგა ეს სტატუსი, რადგან ბოლოსდაბოლოს ის კომუნიკაციის ალტერნატიულმა მოდელებმა ჩაანაცვლეს. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოითხოვს თავად მოდელის წარმოშობის, მისი გავლენის შედეგების და, ასევე, იმ ძირითადი მიზეზის განხილვას, რამაც მისი ამგვარი ძლიერი გავლენა განაპირობა.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაციის კოდური მოდელი; „არხი მეტაფორა“, კომუნიკაციის ინფორმაციული მოდელი.

შესავალი

ის აზრი, რომ კომუნიკაცია არის გზავნილის გადაცემა და მიღება, კომუნიკაციის შესახებ არსებულ მრავალ თეორიაში გვხვდება. ყველა ამგვარ თეორიას საფუძვლად უდევს ე.წ. კომუნიკაციის „კოდური მოდელი“. აღნიშნული მოდელი ტრადიციულ სტრუქტურალისტურ ლინგვისტიკაში მუდამ ცენტრალურ ადგილს იკავებდა. პრაგმატიკის განვითარების კვალდაკვალ, ინფერენციული მოდელის გამოჩენამ და მისმა შემდგომმა განვითარებამ, სააშკაროზე გამოიტანა კოდური მოდელის მრავალი ხარვეზი და მისი საგრძნობი მოდიფიკაცია მოახდინა. მიუხედავად ამისა, კოდური მოდელი დღესაც ინარჩუნებს საკმაოდ ძლიერ გავლენას. კითხვებს იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა მისი ასეთი გავლენა, განსხვავებული პასუხები აქვს გაცემული. მეცნიერები ვერ თანხმდებიან თუნდაც იმის შესახებ, თუ როგორია ზუსტად მოდელის წარმოშობის ისტორია. მათი დიდი უმრავლესობა კომუნიკაციის ინფერენციულ მოდელს კოდური მოდელის ალტერნატიულ მოდელად მიიჩნევს. სხვათა აზრით კი, ინფერენციულმა მოდელმა და მასზე დაფუძნებულმა ახალმა მოდელებმა მხოლოდ კოდური მოდელის მოდიფიკაციას შეუწყო ხელი და ეს უკანასკნელი არა მხოლოდ სოსიურისეული სტრუქტურალისტური ლინგვისტიკის, არამედ მთლიანად ლინგვისტიკის საკუთრებაა.

მოცემულ სტატიაში შევეცადეთ, თავი მოგვეყარა, შეგვედარებინა და კრიტიკულად შეგვეფასებინა კომუნიკაციის კოდური მოდელის ირგვლივ წამოჭრილი განსხვავებული თვალსაზრისები. ჩვენი ძირითადი მიზანია, პასუხი გავცეთ კითხვას: კოდური მოდელი კვლავ კომუნიკაციის წამყვან მოდელად რჩება დღევანდელ ლინგვისტიკაში თუ მან დაკარგა ეს სტატუსი, რადგან, ბოლოსდაბოლოს, ის კომუნიკაციის სხვა მოდელებმა ჩაანაცვლეს? და თუ ამგვარი ჩანაცვლება მოხდა, მაშინ რატომ რჩება ჩვენი წარმოდგენა კომუნიკაციის შესახებ კვლავ მეტაფორული?

ძირითადი ნაწილი**1. კომუნიკაციის კოდური მოდელის წარმოშობა, განვითარება და გავლენა**

ტერმინი „კოდური მოდელი“, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველად დენ სპერბერმა და დეიდრე უილსონმა გამოიყენეს. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ მოდელის გავლენას არისტოტელეს დროიდან დაწყებული თანამედროვე სემიოტიკის ჩათვლით [12. Sperber and Wilson 1986: 2]. მათ მსგავსად, დებორა შიფრინიც თვლის, რომ ამ მოდელის წარმოშობა საუკუნეებს ითვლის და ის

საფუძვლად ედება მრავალ თანამედროვე ლინგვისტურ თეორიას [9. Schiffrin 1994: 391]. როგორც ჩანს, სპერბერი და უილსონი, ასევე შრიფინი და ყველა ის მეცნიერი, ვინც კოდური მოდელის საუკუნოვან ისტორიაზე ლაპარაკობს ვარაუდობს, რომ კოდური მოდელი კომუნიკაციის უძველესი კომუნიკაციური მოდელის, ე.წ. „არხი მეტაფორა“ (conduit metaphor) გარმელებას და შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

პერი ბლეკბერნი არამართებულად მიიჩნევს ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ კოდური მოდელი პირველად კლოდ შენონის და უორენ უივერის ინფორმაციის მოდელისა და იქამდე არსებულ მოდელთა ინტეგრაციის საფუძველზე შეიქმნა [1. Blackburn 2007]. მართლაც, ე.წ. „კოდირების“ ცნება წარმოიშვა ინფორმაციის თეორიაში და კომუნიკაციის იმ მოდელმა, რომელიც ამ თეორიაში შემუშავდა, განვითარება დაიწყო ელექტრო ინჟინერიასა და ტელეკომუნიკაციის ფარგლებში [11. Shanon and Warren Weaver 1949]. მოდელის მიხედვით, კომუნიკაცია მიიღწევა მესიჯების კოდირებითა და დეკოდირებით. მისი საშუალებით დეტალურად აღწერდნენ, თუ როგორ ხდებოდა ინფორმაციის გადაცემა ელექტრონული მედიის საშუალებით.

შენონისა და უივერის ამ მოდელის აქტიური შემოსვლის დაწყება ლინგვისტიკაში სოსიურისეული სტრუქტურალიზმის პერიოდს დაემთხვა და მნიშვნელობისა და კომუნიკაციის შესახებ არსებულ მრავალ ლინგვისტურ ნაშრომში იქნა ინტენსიურად გამოყენებული. მათი მოდელის შემოსვლას ლინგვისტიკაში წინ უძღოდა სწორედ სოსიურის ე.წ. „მეტყველების ცირკულირების“ მოდელი (speech circuit model) [8. Saussure 1959, pp. 11-15], რომელმაც ისევე როგორც მთლიანად სოსიურის ლინგვისტურმა მოდელმა, განუზომლად დიდი გავლენა მოახდინა კომუნიკაციის იმ ხედვის დამკვიდრებაზე, რაც დომინირებდა სტრუქტურალისტურ ლინგვისტიკაში. ამ მოდელზე დაყრდნობით შეიქმნა კომუნიკაციის მრავალი ცნობილი კომუნიკაციის ლინგვისტური მოდელი. ყველა მათგანი, განსხვავებების მიუხედავად, ადამიანურ კომუნიკაციაში კოდად მიიჩნევენ ენას, რომლის საშუალებითაც ხდება აზრებისა და იდეების ბგერებთან დაკავშირება. ამ ხედვის მიხედვით, ადრესანტი და ადრესატი ენის ცოდნას იყენებენ როგორც გარკვეულ კოდს - ენაში არსებული წესებისა და კონვენციების შესაბამისად, ადრესანტი ახდენს მნიშვნელობის კოდირებას მესიჯის სახით, ხოლო იმავე წესებისა და კონვენციების გამოყენების საშუალებით ადრესატი ახდენს ამ მესიჯის დეკოდირებას, რასაც შედეგად მოჰყვება წარმატებული კომუნიკაცია [5. Katz 1966: 98; 103-104]; [6. Lyons 1977: 36-37]; [3. Crystal 1997: 72] და ა.შ. ცხადია, ეს ხედვა კომუნიკაციასთან დაკავშირებულ მრავალ კითხვას უპასუხოდ ტოვებდა. მაგალითად, მოდელი არ ითვალისწინებდა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა კონტექსტი, მეტყველი სუბიექტის ინტენცია, არაპირდაპირი მეტყველება და ა.შ. თუ როგორ მოხდა მოგვიანებით კოდური მოდელის მოდიფიკაცია, ამას ქვემოთ დავუბრუნდები. მაგრამ ახლა, დავუბრუნდეთ კვლავ კოდური მოდელის წარმოშობის გენეზისს.

არც ინფორმაციული მოდელის და არც სოსიურის მეტყველების ცირკულირების მოდელის გამოჩენა ცარიელ ადგილას არ მომხდარა. ორივე მათგანს საფუძვლად უდევს ე.წ. „არხი მეტაფორა“ (conduit metaphor), ანუ კომუნიკაციის ის ტრადიციული გაგება, რომლის უძველეს, არისტოტელეს დროინდელ წარმომავლობაზე მიუთითებენ სპერბერი და უილსონი. მაგრამ ბლეკბერნი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ ეთანხმება სპერბერის, უილსონის, შიფრინის და სხვათა ამ მოსაზრებას, რომ კოდური მოდელი ტრადიციული კომუნიკაციის მოდელის, „არხი მეტაფორას“ მოდელის გაგრძელებაა. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის სამი ცალკე არსებული კომუნიკაციის ინტეგრირების შედეგია: „არხი“ მეტაფორას, სოსიურის მეტყველების ცირკულირების და შენონის და უივერის ინფორმაციული მოდელის. მათგან, მისი აზრით, „არხი“ მეტაფორა ყველაზე მდგრადი მოდელია [1. Blackburn 2007: 27], რომელიც ყველა კულტურაში ინარჩუნებს უნივერსალურობას და განაგებს ჩვენს წარმოდგენას კომუნიკაციის შესახებ. ამდენად, სოსიურის და შენონისა და უივერის მოდელები სწორედ ამ უძველეს, ტრადიციულზე მოდელს ეყრდნობა და მასთან ერთად ინტეგრირების შედეგად ხდება კოდური მოდელის შექმნა. ჩვენს ამოცანას მოდელის წარმოშობის შესახებ სიღრმეებში წასვლა არ არის. მაგრამ ჩვენთვის ამოსავალია იმის გათვალისწინება, რომ „არხი მეტაფორას“ მოდელი (ანუ კომუნიკაციის უძველესი, ტრადიციული მოდელი) კოდური მოდელის ყველაზე მდგრადი ნაწილია.

„არხი მეტაფორას“ ტრადიციული მოდელის თანახმად, ადრესანტი (გამგზავნი) თავის მენტალურ კონტენტს (აზრებს, იდეებს) „ჩადებს“ „კონტეინერში“ (სიტყვებში, წინადადებებში, ტექსტებში) და ამ „კონტეინერის“ სახით უგზავნის ადრესატს (მიმღებს), რომელიც „ამოიღებს“ („ამოალაგებს“) ადრესანტის აზრებს. კომუნიკაციის ამგვარ ხედვას ყველა ჩვენგანის აზროვნებაში ღრმად აქვს ფესვები გამჯდარი. მაიკლ რედდი [7. Reddy 1993] ნათლად აღწერა დაახლოებით 80 მაგალითზე დაყრდნობით, თუ რამდენად მეტაფორულია ჩვენი წარმოდგენა ლინგვისტური კომუნიკაციის შესახებ (მაგალითად, „The sentence was

filled with emotion;" "Let me know if you *find* any good *ideas* in this essay;" "Try to *get* your *thoughts* across better;" "You have not *given* me any *idea* of what you mean," და ა.შ.). მან დამაჯერებლად გვიჩვენა, თუ რამდენად შორსაა ეს მეტაფორული სურათი იმისგან, რაც რეალურად ხდება ადამიანთა ინტერაქციის დროს. მაგრამ მეტაფორა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ კოდური მოდელის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა, არამედ გამსჭვალა მთლიანად ჩვენი აზრი კომუნიკაციის შესახებ.

თუმცა, როგორც ვნახეთ, ბლექბერნის მიხედვით, კოდური მოდელი მხოლოდ „არხი მეტაფორას“ მოდელის გაგრძელება-განვითარება არ არის, არამედ კიდევ ორი კომუნიკაციის მოდელის (სოსიურის და შენონის და უივერის) ინტეგრაციის შედეგი. ის, რომ სტრუქტურალისტურმა ლინგვისტიკამ კომუნიკაციის გაგების თვალსაზრისით ამ მოდელს ცენტრალური როლი დააკისრა, ასეთ შემთხვევაში, არ უნდა იყოს მხოლოდ „არხი მეტაფორას“ გავლენა. ეს კი უნდა მიგვანიშნებდეს, რომ კოდური მოდელი, წესით, აღარ უნდა იკავებდეს ცენტრალურ ადგილს კომუნიკაციურად ორიენტირებული ლინგვისტიკის ფარგლებში. მაგრამ ბლექბერნი დაჟინებით ამტკიცებს, რომ კოდური მოდელი არ ეკუთვნის რომელიმე ლინგვისტურ სკოლას ან ყველა იმ თეორიას ერთად აღებულს, რომელიც შეიძლება სტრუქტურალისტური პარადიგმის ფარგლებში გაერთიანდეს, არამედ მას მთლიანად ლინგვისტიკის საკუთრებად თვლის. მომდევნო პარაგრაფში ჩვენ დავუბრუნდებით ამ მოსაზრებას და მისგან განსხვავებულ თვალსაზრისებს. ეს საშუალებას მოგვცემს (რამდენადაც შესაძლებელია) პასუხი გავცეთ მოცემული სტატიის მთავარ კითხვას - შეინარჩუნა თუ არა კოდურმა მოდელმა ის ცენტრალური სტატუსი, რაც მას ჰქონდა სტრუქტურალისტურ ლინგვისტიკაში? მოცემული სტატიის შემდეგი პარაგრაფი, სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

2. არის თუ არა კომუნიკაციის კოდური მოდელი კვლავ კომუნიკაციის ძირითადი მოდელი დღევანდელ ლინგვისტიკაში?

პირველ რიგში, დავაკონკრეტოთ, რომ ტრადიციული სტრუქტურალისტური ლინგვისტიკა თვლიდა, რომ კომუნიკაციის პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა ენობრივ სისტემას, რომელიც კომუნიკაციურ კოდად მიიჩნეოდა. ეს აზრი სრულ თანხვედრაში იყო მის ფუნდამენტურ იდეასთან. როგორც ცნობილია, სოსიურისეული ლინგვისტიკის ფუძემდებლურ პრინციპად ითვლება ენის დიქტომიზირება - მის ენად და მეტყველებად დაყოფა. ენა (langue) სოსიურისათვის იყო აბსტრაქტული, ენობრივი ნიშნებისაგან შემდგარი სისტემა, ხოლო მეტყველება (parole) - ენობრივი სისტემის კონკრეტული გამოყენება მეტყველებაში. სოსიურის და შემდგომში მთელი სტრუქტურალისტური ლინგვისტიკის ინტერესის ორბიტაში მოქცეული იყო ენობრივი სისტემა და არა ენის გამოყენება და ენის გამოყენებლები. აღსანიშნავია, რომ თავად სიტყვა „სტრუქტურა,“ რომელიც შედის თავად სოსიურისეული პარადიგმის აღმნიშვნელ ტერმინში „სტრუქტურალიზმი,“ სწორედ ენისა და მეტყველების დაყოფის ფაქტიდან იღებს სათავეს - ის მიუთითებს ენობრივ სისტემაზე (ენის მთლიან სტრუქტურაზე). სოსიური მიიჩნევდა, რომ ენა არის ავტონომიური სისტემა, რომელიც განისაზღვრება ინტერნალური (შინაგანი) და არა ექსტერნალური (გარეგანი) მიმართებებით (ანუ გარე რეალობასთან მიმართებით) [8. Saussure 1959: 24] - თავად ენა განსაზღვრავს მეტყველების (parole) ყოველ კონკრეტულ გამოვლინებას და არა გარეგანი რეალობა.

კომუნიკაციის იმგვარი ხედვა, რომ თითქმის თავად ენობრივი სისტემა არის პასუხისმგებელი მნიშვნელობის წარმოქმნაზე და ამ პროცესში კომუნიკანტების როლი მხოლოდ ენობრივი წესების ცოდნაა, ბუნებრივად განაპირობებდა ლინგვისტური კომუნიკაციის პროცესში ჩართული მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორის უგულებელყოფას. ამგვარი კონვენციონალიზმი პირდაპირ და უშუალოდ აისახებოდა სხვადასხვა ენობრივ მოვლენათა ხედვაზე. წინადადების ან ტექსტის მნიშვნელობის განმსაზღვრელად თავად ენა და ენობრივი კონვენციები და წესები მიიჩნეოდა. ეს კი განპირობებდა ლინგვისტიკის თუ ლინგვისტიკის ფარგლებს გარეთ არსებულ კვლევათა სპეციფიკას. მაგალითად, ე.წ. „ახალი კრიტიკის“ ფარგლებში განხორციელებული კვლევები ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ ტექსტი არის ის „ობიექტი,“ რომელშიც ავტორის მიერ „ჩადებულია“ „ობიექტური“ მნიშვნელობა და მკითხველის ამოცანა ამ მნიშვნელობის „ამოღება იყო, რაც ტექსტის „მიკროსკოპული“ ანალიზის (ე.წ. „close reading“-ის) - თითოეულ სიტყვაზე, წინადადების სტრუქტურაზე (ე.წ. „words on the page“) დაკვირვების შედეგად უნდა ყოფილიყო მიღწეული. ამგვარ კვლევებში ავტორის როლის, მისი ინტენციის და მკითხველის მხრიდან ამ ინტენციის კონსტრუქციის პროცესის სრული იგნორირების ხაზგასმაც ხდებოდა. ასეთივე კონვენციონალიზმით არის გაჯერებული სტრუქტურალიზმის და პოსტრუქტურალიზმის ფარგლებში

არსებულ თეორიები, რისი აშკარა დადასტურებაც, ე.წ. „ავტორის სიკვდილის კონცეპტის გამოჩენა პოსტრუქტურალისტურ თეორიებში.

თანამედროვე პრაგმატიკამ მრავალი მნიშვნელოვანი სიახლე მოიტანა და მრავალ უპასუხოდ დარჩენილ საკითხს კომუნიკაციის და მნიშვნელობის განსაზღვრის თვალსაზრისით ნათელი მოჰფინა. ჯონ ოსტინის და ჯონ სერლის სამეტყველო აქტების თეორიამ და პოლ გრაისის გამონათქვამის მნიშვნელობის შესახებ თეორიებმა დამაჯერებლად აჩვენა ის ურღვევი ურთიერთკავშირი, რაც ენის გამოყენებასა და ადამიანურ ქმედებას შორის არსებობს. პოლ გრაისის თეორიამ საფუძველი დაუდო კომუნიკაციის ინფერენციული მოდელის დამკვიდრებას, რომელიც კოდური მოდელის ალტერნატიულ მოდელად მიიჩნევა. ამ მოდელის თანახმად, კომუნიკაცია აუცილებლად გულისხმობს მეტყველი სუბიექტის ინტენციის გაგებას და, ასევე, და განსაკუთრებით იმას, რომ ინტენციების ინფერენცია (ამოცნობა) უნდა მოხდეს და არა მათი დეკოდირება [4. Grice 1989: 220]. გრაისის ამ მოსაზრებებმა მეტყველი სუბიექტის ინტენციების, ნათქვამსა და ნაგულისხმევს შორის განსხვავების, თანამშრომლობის პრინციპისა და მაქსიმუმის შესახებ მრავალი ახალი პრაგმატიკული თეორიის წარმოშობას დაუდო საფუძველი. ლინგვისტურ პრაგმატიკასთან ერთად, კომუნიკაციის და მნიშვნელობის შესახებ მნიშვნელოვნად ახალი ხედვა ასევე დისკურსის თანამედროვე თეორიამ, სოციოლინგვისტიკამ და კოგნიტურმა ლინგვისტიკამ შემოიტანა. მოცემულ სტატიის ფარგლებში მათი ანალიზი ვერ ხერხდება, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი დახმარებით მნიშვნელოვნად შესწორდა კოდურ მოდელთან დაკავშირებული მრავალი მნიშვნელოვანი ხარვეზი, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

კომუნიკაციის არა მხოლოდ ახალი, არამედ აშკარად გაუმჯობესებული ხედვის მიუხედავად, რაც ზემოთ აღნიშნულმა თეორიებმა მოიტანეს, ინფერენციულ და ინტერაქციულ მოდელებში დეკოდირებული ლინგვისტური მნიშვნელობა კვლავ სასიცოცხლო ადგილს იკავებს. მაგალითად, სერლი გრაისს აკრიტიკებს სწორედ იმის გამო, რომ მან ვერ აჩვენა, თუ რა თვალსაზრისით შეიძლება მნიშვნელობა იყოს ენობრივი წესებისა და კონვენციების შედეგი [10. Searle 1969: 43]. ჩვენს მიერ ციტირებული ავტორები, სპერბერი და უილსონი სერლს და სხვა თეორეტიკოსებს სწორედ იმიტომ აკრიტიკებენ, რომ მათ ვეღარ განავითარეს ინფერენციული მოდელი, არამედ პირიქით, კვლავ კოდურ მოდელს მიუბრუნდნენ. თავად მათ დიდი წვლილი მიუძღვით განსხვავებული კომუნიკაციის პრაგმატიკული მოდელის განვითარებაში რელევანტურობის კონცეპტის შემოტანით. მაგრამ ამ მოდელში მნიშვნელობის ლინგვისტური დეკოდირება კვლავ რჩება კომუნიკაციის მექანიზმების გაგების სასიცოცხლო ნაწილად, რადგან კოდირებულ ინფორმაციას ისინი ინფერენციის მთავარ წყაროდ განიხილავენ [12. Sperber and Wilson 1986:175-176] და მიიჩნევენ, რომ საჭირო სულაც არ არის კოდური და ინფერენციული მოდელების გაერთიანება, რადგან კომუნიკაცია ერთგვაროვანი ფენომენი არ არის. ბლექბერნი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. მეტიც, ის ამტკიცებს, რომ სპერბერმა და უილსონმა, ისევე როგორც სხვა ინფერენციულ მოდელის განვითარებაზე კონცენტრირებულმა მეცნიერებმა, ფაქტიურად კოდური მოდელის შესავსები და დამხვეწი კიდევ ერთი კომუნიკაციის მოდელი შეიმუშავეს და კოდური მოდელი კვლავ ცენტრალურ მოდელად რჩება ლინგვისტურ მეტათეორიაში.

ბლექბერნის საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტების მიუხედავად, შეუძლებელია იმის არ დანახვა, რომ დღეისათვის, თანამედროვე კომუნიკაციურად ორიენტირებული ლინგვისტიკის არც ერთი თეორიული მიმართულება არ თვლის, რომ მნიშვნელობის გენერირება მხოლოდ ენობრივი სისტემის საშუალებით ხდება. შესაბამისად, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კოდურ მოდელს აშკარად გამოეცალა ის ღერძი, რაც სტრუქტურალისტურული ლინგვისტიკის ფარგლებში მის დომინირებას განაპირობებდა კომუნიკაციის გაგების თვალსაზრისით. ეს კი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ დღეისათვის ის წამყვან მოდელს აღარ წარმოადგენს ლინგვისტიკაში. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმის უარყოფას, რომ ახალ კომუნიკაციის მოდელებს კვლავ სჭირდებათ მასზე დაყნობა იმ მიზეზების გამო, რაზეც ბლექბერნმა მიგვითითა. ამდენად, სწორი არ იქნება იმის მტკიცება, რომ კოდურმა მოდელმა დატოვა ლინგვისტური სცენა. და უკვე მივედით, მეორე კითხვამდე, რომელიც ჩვენი მთავარი კითხვიდან უშუალოდ გამომდინარეობს: თუ ამჟამად კოდური მოდელი აღარ არის წამყვანი მოდელი და ეს სტატუსი სხვა ალტერნატიულმა მოდელებმა დაიკავეს, მაშინ რატომ რჩება ჩვენი წარმოდგენა კომუნიკაციის შესახებ კვლავ მეტაფორული? ჩვენი მსჯელობის ლოგიკიდან გამომდინარე, ვფიქრობ, შეგვიძლია მასზე პასუხის გაცემა. მიზეზი იმისა, თუ რატომ დარჩა ჩვენი წარმოდგენა კომუნიკაციის შესახებ მეტაფორული პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება კომუნიკაციის უძველესი, ტრადიციული კომუნიკაციის მოდელის მიერ დამკვიდრებულ აზრს, რომლის მიხედვითაც ენა ასრულებს ერთგვარი დამაკავშირებელი „არხის“ როლს და მისი საშუალებით შესაძლებელია „კონტინერში“ (ანუ სიტყვებში, წინადადებებში და

ტექსტებში) „ჩავალავოთ“ ჩვენი მენტალური კონტენტი (აზრები, იდეები, თუ გრძნობები) და „გადავუზავოთ“ ადრესატს. ცხადია, სხვა მნიშვნელოვანი მიზეზების შესახებაც არის საჭირო ლაპარაკი, რაც ვერბალური კომუნიკაციის და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტების სიღრმისეულ ანალიზს გარდუვალად მოითხოვს. ეს კი ცალკე კვლევის საგანია და მოცემული სტატიის მიზანს არც წარმოადგენდა.

დასკვნა

კომუნიკაციის კოდური მოდელი, რომელიც ისტორიულად ცენტრალურ ადგილს იკავებდა სტრუქტურალისტურ ლინგვისტიკაში, თანამედროვე ლინგვისტიკაში მისმა ალტერნატიულმა ხედვებმა – განსაკუთრებით ინფერენციულმა და პრაგმატიკულმა მოდელებმა – მნიშვნელოვნად შეცვალა და გადააფასა. მიუხედავად იმისა, რომ კოდური მოდელი დღეს აღარ წარმოადგენს კომუნიკაციის წამყვან თეორიას, იგი კვლავ რჩება ლინგვისტური აზროვნების მნიშვნელოვანი კომპონენტი და ხშირად ფუნქციონირებს სხვა მოდელებთან ერთად. ამავე დროს, კომუნიკაციის შესახებ არსებული მეტაფორული წარმოდგენები, კვლავ ძლიერად ფესვგადგმულია ჩვენს მეტყველებაში და აზროვნებაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოდური ხედვა ბოლომდე არ გამქრალა და მისმა გავლენამ საყოველთაო კომუნიკაციურ ცნობიერებაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.

ლიტერატურა

1. Blackburn, P. (2007) Code Model of Communication: A Powerful Metaphor in Linguistic Metatheory. SIL International e-books.
2. Culler, J. (1986) Ferdinand de Saussure. Ithaca, NY: Cornell University Press.
3. Crystal, D. (1997) A Dictionary of Phonetics. 4th ed. Cambridge, Massachusetts: Blackwell.
4. Grice, P. (1989) *Studies in the Way of Words*. Cambridge, Mass.: Harvard University Press.
5. Katz, J. (1966) *The Philosophy of Language*. New-York: Harper and Row.
6. Lyons, J. (1977) *Semantics*. Vol. 1. Cambridge: Cambridge University Press.
7. Reddy, M. (1993) "Conduit metaphor: A Case of Frame Conflict in Our Language about Language" (1979) in A. Ortony (ed.), *Metaphor and Thought*, pp. 164-201. 2nd ed. Cambridge: Cambridge University Press.
8. Saussure, Ferdinand de (1959) Bally, Ch. And Sechehaye, A. (eds). New York: Philosophical Library.
9. Schiffrin, D. (1994) *Approaches to Discourse*. Cambridge: Blackwell.
10. Searle, J. (1969) *Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language*. Cambridge: Cambridge University Press.
11. Shannon, C. and Weaver W. (1949) *The Mathematical Theory of Communication*. Urbana: University of Illinois Press.
12. Sperber, D. and Wilson, D. (1986) *Relevance: Communication and Cognition*. Cambridge, Mass.: Harvard University Press.

The Code Model of Communication: Its Current Status and Relevance in Mainstream Linguistics

Nino Tevdoradze

Abstract

The view of communication, which sees communication as a process in which encoders convey messages to decoders through the code which matches the messages with signals, is usually referred to as the code model of communication. Modern pragmatics has shed a lot of light on the ways in which the model fails to account for many problems related with communication by suggesting its alternative, inferential model of communication. However, the code-model-based idea of communication still makes itself strongly felt. Theorists have not spared efforts to answer the question whether the model has been abandoned or only expanded upon and supplemented by other models of communication. This paper is an attempt to bring together the views concerning this thorny issue. Its chief aim consists in answering the question whether the code model is still recognized as a leading model of communication in mainstream linguistics or it has lost such status because it has been eventually replaced by alternative models of communication. The answer to this question involves the discussion of the origin of the model, its far-reaching consequences, and also the major reason of its persistent influence.

Keywords: The code model of communication; conduit metaphor; information model of communication.